ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3130851

ნომერი: AR1482885

თარიღი : 01.03.2017

გაცემის თარიღი : 09.03.2017

გაცნობის თარიღი : 10.03.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი გურამიშვილი , N 39ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ მილაძე პ/ნ 24001001515
- კასპი 300 არაგველის ქ. N 38

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 01 მარტის #AR1480885 განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის 2017 წლის 7 თებერვლის №3084037 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელებას საპროექტო ობიექტის ფუნქციის კორექტირების მიზნით.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 7 თებერვლის №3084037 ბრძანებით, ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გურამიშვილის გამზ. N39ა–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.03.007.020, ფართობი 2180 კვ.მ) ინდივიდუალური სამეურნეო და ტექნიკური დამხმარე ნაგებობის რეკონსტრუქციის მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. ხსენებული მიწის ნაკვეთი (ს.კ.N 01.12.03.007.020) დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის- -რუკის მიხედვით ვრცელდება საცხოვრებლ ზონა 3 (სზ–3), რომელიც წარმოადგენს დაბალი ინტენსივობის შერეულ საცხოვრებელ ქვეზონას და მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3)–ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს შერეული ტიპის საცხოვრებელი სახლები. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ასევე დასაშვებია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დანართი-1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობები (იხილეთ დანართი).

ვინაიდან, 2017 წლის 06 იანვრის #AR1469019 განაცხადზე, მოთხოვნის ტექსტში და ფუნქციური დანიშნულების ველში ფიქსირდება საპროექტო ობიექტის დასახელება ინდივიდუალური სამეურნეო და ტექნიკური დამხმარე ნაგებობა, ამასთან საცხოვრებელ ზონა 3 (სზ–3)–ში დასაშვები სახეობების ჩამონათვალიც ინდივიდუალური სამეურნეო და ტექნიკური დამხმარე ობიექტი ფიქსირდება როგორც ნაგებობა და არა როგორც შენობა სამსახურის მიერ იქნა მომზადებული აქტი (2017 წლის 7 თებერვლის №3084037 ბრძანება) კანონმდებლობის დანართი–1–ის შესაბამისი ფუნქციით, რომლის კორექტირებაც ვერ განხორციელდება.

იმ შემთხვევაში თუ გსურთ №3084037 (07.02.17.) ბრძანებაში ცვლილების შეტანა საცხოვრებელ ზონა 3 (სზ–3)–ში დასაშვები ობიექტების სხვა სახეობის დაფიქსირებით საჭიროა ამავე განაცხადის დახარვეზებულ ველში დააფიქსიროთ დანართი –1–ის შესაბამისი სასურველი ფუნქცია, სამსახური საკითხს განიხილავს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.

დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 15 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2017 წლის 01 მარტის #AR1480885 განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.